

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 03.02.2022 წლის #002/22<sup>1</sup>  
რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ნათია ადუაშვილი

**შეკითხვა**

როდესაც ბრალდებული პროტესტის ნიშნად ტოვებს სხდომის დარბაზს და იმავეს მოუწოდებს ადვოკატსაც, ადვოკატის მიერ ბრალდებულის მოთხოვნის უპირობოდ შესრულება/ან შეუსრულებლობა წარმოადგენს თუ არა პროფესიული ვალდებულებების დარღვევას?

**სამართლებრივი შეფასება**

შესაფასებელია ბრალდებულის მოთხოვნის შეუსრულებლობა ან შესრულება, გამოიწვევს თუ არა ერთი მხრივ, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის და მეორე მხრივ, სასამართლოში მოქმედები ქცევის წესის, როგორც ადვოკატის ეთიკური ვალდებულების, დარღვევას? ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება, აუცილებლად, კანონიერი და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისი უნდა იყოს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 5). ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში მოქმედს ქცევის წესებს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1). კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების არსი ისაა, რომ ადვოკატის ყოველი მოქმედება უნდა ეფუძნებოდეს კლიენტის ნებას/კლიენტის მითითებებს, თუმცა კლიენტის მითითებით მოქმედება ყოველთვის უნდა იყოს კანონიერი. ამდენად, კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედებისთვის, ადვოკატმა უნდა იცოდეს კლიენტის რეალური ნება და საქმის წარმართვის რეალური მოლოდინი. იმ პირობებში კი, როდესაც კლიენტი სპონტანურად ტოვებს დარბაზს ივარაუდება, რომ ადვოკატმა არ იცის კლიენტის აღნიშნული ქმედების მიზანი და თავად, კლიენტიც, ვერ აცნობიერებს მის სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად ამ მითითების უპირობოდ შესრულება ვერ ჩაითვლება კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედებად. ამასთან, დარბაზის მყისიერი დატოვება ადვოკატის მხრიდან შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვის, როგორც ეთიკური სტანდარტის დაცვის ვალდებულებასთანაც, ვინაიდან ადვოკატმა არ უნდა დატოვოს თვითნებურად სხდომის დარბაზი სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. ასეთ ვითარებაში, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა სამართლებრივი მექანიზმი კლიენტის პოზიციის დაზუსტებისთვის: გაიგოს რა არის კლიენტის რეალური მიზანი, განუმარტოს ყველა ის შედეგი, რაც მის ქმედებას შესაძლოა მოყვას. როდესაც ადვოკატი დააზუსტებს კლიენტის რეალურ ინტერესს, ის ვალდებულია იმოქმედოს ამ ინტერესის შესაბამისად.

**დასკვნა**

ამდენად, ადვოკატის მიერ, სასამართლოს დარბაზის პროტესტის ნიშნად დატოვების შესახებ, კლიენტი მოთხოვნის უპირობოდ შეუსრულებლობა, არ ჩაითვლება კლიენტის ინტერესების

---

1  
<https://gba.ge/pdf/62063ffabcd37.pdf/werilobiti%20rekomendacia%20002.22%20gacemis%20tarigi%2003.02.22.pdf>



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი  
იურიდიული ეთიკის  
მიმართულება

შეუსაბამოდ მოქმედებად. გარდა ამისა, ამ მოთხოვნის შესრულებით შესაძლოა დაირღვეს სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები, როგორც ადვოკატის ეთიკური ვალდებულება.